სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება № 8
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი ივლისი 2022 წელი

ერთის მხრივ სსიპ „სმირნოვების მუზეუმი„ წარმოდგენილი მისი დირექტორის ლილი ამაშუკელის მინდობილი პირის ეკატერინე ყაზაიშვილის სახით (შემდგომში „შემსყიდველი”) და მეორეს მხრივ შპს ,,ორგსერვისი“ (შემდგომში „მიმწოდებელი”), წარმოდგენილი დირექტორის ხვიჩა ნემსაძეს სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს1 ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია სხვადასხვა სახის საქონელი (CPV კოდი 30100000) ხელშეკრულების პირობებისა და დანართი N 1 -ის შესაბამისად.
1.2 დანართი N 1 წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 66,90 (სამოცდაექვსი ლარი და 90 თეთრი) ლარს.
2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტების მიწოდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთ) სამუშაო დღეში.
3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. 86/90.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტი შესაბამისობაში იქნება მოქმედ ნორმებთან და სტანდარტებთან.

5. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

5.1 **მიმწოდებელი უფლებამოსილია:**
5.1.1 მოთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
5.2 **შემსყიდველი უფლებამოსილია:**
5.2.1 შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხი და რაიმე დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში მოითხოვოს მისი აღმოფხვრა.
5.3 **მიმწოდებელი ვალდებულია :**
5.3.1 უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულება.
5.3.2 მიწოდებულ საქონელში რაიმე ნაკლის გამოვლენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან/და ნაკლის აღმოფხვრა.
5.4 **შემსყიდველი ვალდებულია:**
5.4.1 უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება;
5.4.2 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 2 (ორი) დღეში გამოასწოროს წუნი ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს საქონლის ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება.

7. მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად სასაქონლო ზედნადებისა და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
7.2 მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერენ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში.
8.1.1 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.
8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში; თუ ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ხელშეკრულების გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.
9.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, მხარეები იტოვებენ უფლებას შეწყვიტონ ხელშეკრულება და მოსთხოვონ მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11. დავების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.
11.2 თუ ასეთი მოლაპარაკებისას მ ხ ა რ ე ე ბ ი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 ივლისამდე.

13. სხვა პირობები

13.1 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო მეორე - შემსყიდველს.

14. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	გამყიდველი:
სსიპ „ სმირნოვების მუზეუმი „ ს/კ 204584315 მის: ქ თბილისი, გ. ტაბიძის 20	შპს ,,ორგსერვისი“ ს/კ: 212693851 მის: ქ. ქუთაისი, ჭავჭავაძის, 51
საბანკო რეკვ: სახელმწიფო ხაზინა	საბანკო რეკვ: სს „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი: TBCBGE22
ხაზინის ერთიანი ანგარიში	ანგ.ნომერი : GE32TB0300000030467356
დირექტორის მინდობილი პირი ეკატერინე ყაზაიშვილი	დირექტორი: ხვიჩა ნემსაძე

Khvicha Nemsadze 62004014898

Digitally signed by Khvicha Nemsadze
Date: 2022.07.26 14:43:50

ხელშეკრულება 6- ის დანართი № 1

№	CPV კოდი	საქონლის დასახელება	ზომ. ერთ.	რაოდ.	ერთ. ფასი დღგს ჩათ.	თანხა*
1	30192700	მარკერი ხატვის Unit POSCA 1.8-2.5 Marking Pen Black	ცალი	3	9.5	28.50
2	30192700	მარკერი აკრილის STA 1000-S, 2-3 მმ. Чёрный	ცალი	3	5.9	17.70
3	30192700	მარკერი აკრილის STA 1000-W, 2-3 მმ. Белый	ცალი	3	5.9	17.70
4	30199300	ქაღალდი FABRIANO START 19100621 240გ, 24*32სმ 1ფ. ხატვის, შერეული ტექნიკისათვის	ცალი	10	0.3	3.00
						66.90

შემსყიდველი ---------- მიმწოდებელი ----------